საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1684

27/12/2021

ქ. თბილისი

„შპს „გეომაგინვესტპრომი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 1 აგვისტოს №1048 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 19 ნოემბერს სამინისტროს მომართა შპს „გეომაგინვესტპრომის“ დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2007 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „გეომაგინვესტპრომის“ მაკვანეთის საბადოს კაოლინიზირებული თიხის გამამდიდრებელ საწარმოზე (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვაბზუს ტერიტორია) გაიცა №22 (25.07.2007) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „გეომაგინვესტპრომის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „გეომაგინვესტპრომი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 1 აგვისტოს №1048 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გეომაგინვესტპრომს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გეომაგინვესტპრომის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი